დამტკიცებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 დეკემბრის
N12 გადაწყვეტილებითა

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა

შინაარსი:

1. ზოგადი დებულებები
2. სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის მიზნები და ამოცანები
3. სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები და ხელშემწყობი სტრუქტურები
4. უნივერსიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები
5. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება
6. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები
7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისება
8. კვლევების დაფინანსება
9. სწავლა/სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია
10. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი გარემოს SWOT ანალიზი
11. დასკვნითი დებულებები

1. ზოგადი დებულებები

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას, ხედვას, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას.

წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას, მისი ხარისხის ამაღლებას და სწავლა/სწავლების პროცესში სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ინტეგრაციას.

უნივერსიტეტი სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისას აკადემიურ თავისუფლებას განიხილავს როგორც ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპს. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირები თავიანთ საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, ხარისხზე ორიენტირებით, სტუდენტთაკვლევითი შესაძლებლობების გამოვლენითა დარეალურ კვლევით საქმიანობაში მათი ჩართვის მოტივირებით.

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სწავლა-სწავლების პროცესში.

სამეცნიერო საქმიანობის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი აფართოვებსთანამშრომლობის ფარგლებსუმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებთან, კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან, როგორცქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

უნივერსიტეტი, შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტულიკვლევების განხორციელების მიზნით გამოყოფს შესაბამის ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

2. სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

2.1.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

ა.უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის ზრდა;

ბ.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა ფინანსური რესურსების ეფექტიანი, ეკონომიური და მიზნობრივი გამოყენებით;

გ.აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოტივირება სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად და ამ საქმიანობის შედეგების გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესში;

დ.კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების გამოვლენა, მოტივირება და მხარდაჭერა;

ე.აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

2.2.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიის ძირითადი მოცანებია:

ა.სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის მექანიზმების გაუმჯობესება;

ბ.სამეცნიერო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;

გ.სამეცნიერო ჟურნალების, მონოგრაფიების გამოცემის მხარდაჭერა;

დ.მაღალრეიტინგულ გამოცემებში აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული პუბლიკაციების გამოქვეყნებაში ფინანსური მხარდაჭერა;

ე.აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წახალისების სისტემის ამოქმედება;

ვ.შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემისეფექტურად გამოყენება;

ზ.სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმების დადგენა.

3. სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები და ხელშემწყობი სტრუქტურები

3.1.უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სუბიექტები არიანფაკულტეტები/პროგრამული მიმართულებები.

აკადემიური პერსონალი ვალდებულია ჩართული იყოს პროგრამული მიმართულების პრიორიტეტული კვლევითი თემების განსაზღვრასა და განხორციელებაში.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო დატვირთვა განისაზღვრება შემდეგნაირად:

აკადემიური თანამდებობა	საკონტაქტო დატვირთვა		სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური დატვირთვა	
	კვირაში	წლიური	აფილირებული	არააფილირებული
პროფესორი	3 სთ	90 სთ	310 სთ	260 სთ
ასოცირებული პროფესორი	6 სთ	180 სთ	220 სთ	170 სთ
ასისტენტ პროფესორი	8 სთ	240 სთ	160 სთ	110 სთ
ასისტენტი	10 სთ	300 სთ	100 სთ	50 სთ

სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი პასუხისმგებელია სამეცნიერო ნაშრომის ხარისხზე.

3.2.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი სტრუქტურები:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელნი არიან: აკადემიური საბჭო; კვლევებისა და განვითარების ცენტრი;

ფაკულტეტები/პროგრამული მიმართულებები; ასევე, უნივერსიტეტის ყველა სხვა სტრუქტურული ერთეული, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ყველა შესაძლო რესურსით ხელშეწყობის მიზნით (იგულისხმება: კვლევითი ინფრასტრუქტურა, საპარტნიორო კონტაქტების დამყარება, სამართლებრივი უზრუნველყოფა, საგრანტო განაცხადისა და კვლევითი პროექტების მომზადებისა და წარდგენის საკითხებში საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება, გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებასა და ანგარიშების წარდგენის ტექნიკური დახმარება).

4. უნივერსიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები

ა. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულიპრიორიტეტულ კვლევების ხელმძღვანელობა და ჩართულობა;

ბ. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა/მონაწილეობა;

გ. მონოგრაფიის მომზადება; კოლექტიური ნაშრომის მომზადება;

დ. სახელმძღვანელოს მომზადება;

ე.სამეცნიერო სტატიების მომზადება გამოქვეყნება;

ვ.სასწავლო-მეთოდური ნაშრომის მომზადება;

ზ. მოხსნება ეროვნულ, ანდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებზე;

თ. სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება (კონფერენცია, სამეცნიერო სემინარი, სამუშაო შეხვედრა, სამეცნიერო-მეთოდური სემინარი, საჯარო ლექცია, სამეცნიერო გამოფენა,და ა.შ.);

ი. სტუდენტთა სამეცნიერო (სამეცნიერო-პრაქტიკული)ღონისძიებების ორგანიზება;

კ. სარედაქტორო და სარეცენზიო საქმიანობა;

ლ. დაფინანსებულ[1] სამეცნიერო კვლევით პროექტ(ებ)ში მონაწილეობა;

მ. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში ჩართულობა.

5. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რესურსების ეფექტურად განაწილებას, კვლევის მიზნების მიღწევას და პერსონალისა და სტუდენტების მოტივაციას, ჩაერთონ სამეცნიერო საქმიანობაში.

5.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ყოველწლიურად გეგმავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას.

5.2.დაგეგმვის პროცესში ჩართული არიანუნივერსიტეტის ფაკულტეტები/პროგრამული მიმართულებები, კვლევისა და განვითარების ცენტრი, ხარისხის განვითარების სამსახური, რომელთა კოორდინირებული მუშაობით, დგება კვლევების წლიური გეგმა, რაც შეესაბამება უნივერსიტეტის მიერგანსაზღვრულკვლევით პრიორიტეტებს და დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

[1]იგულისხმება გარე დაფინანსება.

5.3.კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების გამოვლენა, მოტივირება და კვლევით საქმიანობაში მათი ჩართვის ხელშეწყობა, პროგრამული მიმართულებისსამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

5.4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზების მიზნით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს:

ა. ფაკულტეტების/პროგრამული მიმართულების წლიური გეგმით განსაზღვრულ სამეცნიერო კვლევების განხორციელებას.წლიურ სამეცნიერო კვლევაში ჩართული უნდა იყოს პროგრამის აკადემიური (მოწვეული) პერსონალი და სტუდენტები.

ბ.ინდივიდუალურ კვლევას,რომელიცროგორც წესი შეესაბამება უნივერსიტეტის პროფილს და ხორციელდება აკადემიური (მოწვეული) პერსონალის მიერ პროფილისა და ინტერესების შესაბამისად;

გ. შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო პროექტების განხორციელებას, შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დოკუმენტის შესაბამისად.

6. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები

6.1.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების სამსახური, კვლევისა და განვითარების ცენტრი, რომელთა საქმიანობის ხელშეწყობაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელნი არიან უნივერსიტეტისსტრუქტურული ერთეულები.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს დაგეგმილი კვლევების განსახორციელებლად საჭირო რესურსების გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობაში (მათ შორის: კვლევითი ინფრასტრუქტურა, ფინანსური მხარდაჭერა, საპარტნიორო კონტაქტების დამყარება, სამართლებრივი უზრუნველყოფა, საგრანტო განაცხადისა და კვლევითი პროექტების მომზადებისა და წარდგენის საკითხებში საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება,გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებასა და ანგარიშების წარდგენის ტექნიკური დახმარება და სხვა).

შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის მიმართულებების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. სამეცნიერო-კვლევითი გრანტის ადმინისტრირებასა და კოორდინირებაში უნივერსიტეტის მონაწილეობის პირობაა- პროექტში აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის სახელით ჩართულობა.

საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის მაჩვენებლის ზრდის მიზნით, უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის ზრდაზე, კვლევითი პროექტებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობების განვითარებაზე.აღნიშნული მიზნით დაგეგმილია "ჰორიზონტი ევროპა" ეროვნულ ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობა.

უნივერსიტეტის კვლევისა და განვითარების ცენტრი მიაწვდის ინფორმაციას უნივერისტეტის პერსონალს და სტუდენტებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, დაინტერესებულ ჯგუფებს, აორგანიზებს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრებსდა ახორციელებს ტექნიკური ხასიათის დახმარებას.

უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, იყოს მის ფარგლებში ან მისი სახელით განხორციელებული საგანმანათლებლო და კვლევით პროცესში აკადემიური პატიოსნების დაცვის

გარანტი, ასევე გამოავლინოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევაზე.

7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისება

უნივერსიტეტის კვლევისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის წარდგინების შემთხვევაში, უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ, რომლებმაც ჯეროვნად შეასრულეს აკადემიური პერსონალისათვის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი ვალდებულებები, შესაძლებელია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი მექანიზმები:

ა. მადლობის გამოცხადება;

ბ. პრიორიტეტის მინიჭება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას; პრიორიტეტის მინიჭება კონფერენციების და კვლევების დაფინანსებისას;

გ. პრიორიტეტის მინიჭება სტატიებისა და წიგნების ბეჭდვის დაფინანსებისას;

დ. სამეცნიერო-კვლევითი მივლინების დაფინანსება.

8. კვლევების დაფინანსება

კვლევების დაფინანსების საკითხსწყვეტს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა.

განაცხადის წარდგენაზე უფლებამოსილია ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტი.

საბჭოს წევრთა კომპეტენციის ფარგლებში განაცხადის განხილვის შეუძლებელობის შემთხვევაში (თუ საკითხი საჭიროებს სპეციალურ ცოდნას), რექტორის ბრძანებით, კვლევისა და განვითარების ცენტრთან კონსულტაციით მოიწვევა ექსპერტი, რომელიც აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგენს საკუთარ საექსპერტო დასკვნას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

განაცხადის განხილვის დროს გაითვალისწინება ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, განაცხადის განხილვაში არ მონაწილეობს საბჭოს წევრი ან ექსპერტი, რომელსაც შეიძლება პირადი დაინტერესება ჰქონდეს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

შიდა კვლევითი პროექტების განხილვა და დაფინანსება ხდება უნივერსიტეტის შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დოკუმენტის შესაბამისად.

9. სწავლა/სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის განვითარება და მისი შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. აღნიშნული ხორციელდება თანამედროვე საერთაშორისო კვლევებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის შედეგების, ასევე სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების შედეგების ასახვით საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში და შესაბამის სასწავლო ლიტერატურაში. საგანმანათლებლო მიმართულებების საგრანტო კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობით; სტუდენტებისთვის გამიზნული ტრენინგებითა და თემატური სემინარებით; სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით, პერიოდული გამოცემებით, ლიტერატურით და სხვა.

10.უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი გარემოს SWOT ანალიზი

ძლიერი მხარე	გასაუმჯობესებელი მხარე
საეთაშორისო პარტნიორთა მზარდი მაჩვენებელი	სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა
საუნივერსიტეტო სამეცნიერო ჟურნალი	სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული აკადემიური (მოწვეული) პერსონალის რაოდენობა
უნივერსიტეტის მზაობა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები	საუნივერსიტეტო სამეცნიერო ჟურნალი საჭიროებს განვითარებას და მეტ პოპულარიზაციას
საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა	კვლევების ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელი
	საუნივერსიტეტო სამეცნიერო ჟურნალი ცნობადობის ამაღლება
	საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი
	მაღალ (რეიტინგულ) იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციათა რაოდენობა და დაბალი ციტირება
	კვლევითი ინფრასტრუქტურა
შესაძლებლობები	საფრთხეები
სამეცნიერო-კვლევით სფეროში თანამშრომლობის ქსელის გაფართოება	ქვეყნისა და საერთაშორისო პოლიტიკურ/ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება
პროფესიული განვითარების პროგრამები	არასათანადოდ გაწეული სამუშაოების შედეგად გამოწვეული რეპუტაციული რისკები
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი საგრანტო პროგრამები	სწრაფი ცვლილებები კანონმდებლობაში, ორგანიზაციული მართვისა და განათლების სტანდარტებში
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების პოპულარიზაცია	ფინანსური რისკები
ახალგაზრდა მკვლევართა წახალისების სისტემა	

11.დასკვნითი დებულებები

უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს უნივრსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.